




ქ. დედოფლისწყარო



05.10.2016 წელი

ქ. დედოფლისწყარო,

კოსტავას ქ. №44

ტელ. 035622503

www.dedoplistskaro.ge

ელ.ფოსტა: dedoplistskaro_region@yahoo.com

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის ბრძანება №616

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული რიგი მოქალაქეებისათვის ჰემოდიალიზით მკურნალობისათვის საჭირო სენსების ჩასატარებლად 2016 წლის ოქტომბრის თვის ტრანსპორტირების ხარჯის დასაფარად 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 თებერვლის №04 დადგენილებით დამტკიცებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების 2016 წლის მინიმალური სოციალური დახმარებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიების 2016 წლის პროგრამისა და პროგრამის ბიუჯეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ რიგ მოქალაქეებს, ჰემოდიალიზით მკურნალობისათვის საჭირო სენსების ჩასატარებლად ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის მიზნით 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან გამოეყოს 500 (ხუთასი) ლარი 2016 წლის ოქტომბრის თვის ფულადი დახმარება თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით დანართის შესაბამისად. დანართი 1 (ერთი) ფურცელი თან ერთვის.
2. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურმა (ელენე ზაიაშვილი), უზრუნველყოს 500 (ხუთასი) ლარის ჩარიცხვა აღნიშნული დანართის შესაბამისად, მითითებულ ანგარიშებზე.
3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელთან და შემდგომ სიღნაღის რაიონული სასამართლოს დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ. N2) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოლომონ ღორაშვილი
გამგებლის პირველი მოადგილე

